

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი


საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება

*Regulation for the Marine Engineering Faculty*

---

### წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის გურამ ქათამაძის; განათლების ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძის და იურიდიული განყოფილების უფროსი გიორგი დიასამიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2019 წლის 30 აპრილის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N10);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს არსებული დებულების გამოყენების შედეგებით ან ნორმატიული დოკუმენტის მოთხოვნების ცვლილებებისას, რომლის საფუძველზეც შემუშავდება დებულება.
6. არსებული დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
 ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

*საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება*

*Regulation for the Marine Engineering Faculty*

**დებულებაში ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი**

| ცირკულარული წერილის ~<br>(ცვლილებათა შეტანის შესახებ) | დამტკიცების თარიღი | შეცვლილი პუნქტები<br>(გვერდები) | პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა |
|-------------------------------------------------------|--------------------|---------------------------------|--------------------------------|
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |
|                                                       |                    |                                 |                                |




შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება  
*Regulation for the Marine Engineering Faculty*

## შინაარსი

|                                                                                   |    |
|-----------------------------------------------------------------------------------|----|
| 1. გავრცელების სფერო .....                                                        | 5  |
| 2. ნორმატიული მითითებები .....                                                    | 5  |
| 3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები .....                                     | 5  |
| 4. ზოგადი დებულება .....                                                          | 6  |
| 5. ფაკულტეტის მისია, ფუნქცია, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები ..... | 6  |
| 6. ფაკულტეტის პერსონალი და სტრუქტურა .....                                        | 8  |
| 7. შემოწმება და კონტროლი .....                                                    | 11 |
| 8. კონფიდენციალურობა .....                                                        | 11 |
| 9. დებულების პერიოდული შემოწმების ფურცელი .....                                   | 12 |
| 10. პერსონალის დებულებასთან გაცნობის ფურცელი .....                                | 13 |
| 11. შეთანხმების ფურცელი .....                                                     | 14 |



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება

*Regulation for the Marine Engineering Faculty*

**1. გავრცელების სფერო**

1. წინამდებარე დებულება ადგენს საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის უფლება-მოვალეობებს და მუშაობის წესებს, წარმოადგენს ნორმატიულ დოკუმენტს ამ განყოფილების პერსონალისთვის;
2. დებულების აღრიცხული ეგზემპლარი ინახება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასევე მყარი ვერსიები), ხოლო ელექტრონული ვერსიით დაგზავნილია ფაკულტეტზე, ხელმისაწვდომია შიდა ქსელში და სასწავლებლის ვებგვერდზე.
3. არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლარების მომზადება და დაგზავნა ხდება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

**2. ნორმატიული მითითებები**

წინამდებარე დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:


1. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
2. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
3. საქართველოს კანონით „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“;
4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები;
5. ISO 9001:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. მოთხოვნები;
6. ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
7. ნდ №2-010101 სასწავლებლის წესდება;
8. ნდ N2-020101 – ხარისხის სახელმძღვანელო
9. ნდ 2-0201-01- შიდა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედებაში მოყვანის პროცესის პროცედურა;
10. ნდ 2-0201-02- დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცესის პროცედურა

**3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები**

წინამდებარე დებულებაში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები, განმარტებები და შემოკლებები:

**3.1 ტერმინები, განმარტებები**

1. **ნორმატიული დოკუმენტი**, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებსა და მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის.
2. **პერიოდული შემოწმება** არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
3. **დებულება** - განყოფილების სტატუსის განმსაზღვრელი ნორმატიული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია განყოფილების მუშაობის მიმართულებები და ფუნქციები, უფროსის და თანამშრომლების თანამდებობრივი ინსტრუქციების თანდართვით.
4. **შეუსაბამობა** - დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.
5. **ობიექტური მტკიცებულება** - მონაცემები, რომლებიც ამტკიცებენ რაღაცის არსებობას ან სიმართლეს.
6. **მაკორექტირებელი მოქმედებები** - მოქმედება მიმართული აღმოჩენილი შეუსაბამობების აღმოსაფხვრელად რათა არ მოხდეს მისი ხელახლა აღმოჩენა.
7. **შეუსაბამო მომსახურება** - მომსახურება რომელიც არ შეესაბამება შპს „ბუსსს ანრი“-ს მოთხოვნებსა და მეზღვაურთა მომზადების საერთაშორისო და ნაციონალურ, სტანდარტებს.
8. **შეუსაბამო მომსახურების მართვა** - შეუსაბამო მომსახურების თავიან აცილებისათვის მიმართული მოქმედებები.
9. **პროდუქცია/მომსახურება** - მოქმედების ან პროცესის რეზულტატი.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება

*Regulation for the Marine Engineering Faculty*

**3.2 შემოკლებები**

1. შპს ბუსსს ანრი (სასწავლებელი) – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. ფაკულტეტი - შპს ბუსსს ანრის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი
3. IMO - საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია
4. ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
5. ნდ - ნორმატიული დოკუმენტი
6. მფ - მოქმედი ფორმა
7. ხმს - ხარისხის მართვის სისტემა
8. ხარისხის სამსახური - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური
9. სენატი - შპს ბუსსს ანრის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესებთან დაკავშირებული უმაღლესი წარმომადგენლობითი კოლეგიალური მართვის ორგანო, რომლის გადაწყვეტილებების შესრულება სავალდებულოა სასწავლებლის ყველა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისათვის..

**4. ზოგადი დებულება**

წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს ბუსსს ანრის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის სტატუსს, მისიას, მიზანს, ფუნქციებს, საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, სტრუქტურას, ფაკულტეტის პერსონალის უფლება-მოვალეობებსა და სხვა საკითხებს;

- ფაკულტეტი ბუსსს ანრის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია.
- ფაკულტეტი ექვემდებარება რექტორს.
- ფაკულტეტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით; საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“; საქართველოს კანონით „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით; წინამდებარე დებულებით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით; ბუსსს ანრის წესდებით, შინაგანაწესით, რექტორის ბრძანებებით.
- წინამდებარე დებულებას შპს ბუსსს ანრის სენატს განსახილავად წარუდგენს ხარისხის სამსახური.
- ფაკულტეტის დებულებას ამტკიცებს რექტორი.


საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის შემადგენლობაშია სტრუქტურული ერთეული - პროფესიული განათლების დეპარტამენტი (მეზღვაურთა რიგითი შემადგენლობის მომზადება).

**5. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის მისია, ფუნქცია, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები**

**5.1 ფაკულტეტის მისია:**

**5.1.1** ფაკულტეტის ძირითად მიზანსა და ფუნქციას წარმოადგენს მაღალკვალიფიცირებული კადრების მომზადება/გადამზადება, რომლებიც დასაქმდებიან საზღვაო სავაჭრო გემების ეკიპაჟებში მართვისა და ექსპლუატაციის პასუხისმგებლობის დონის სამეთაურო თანამდებობებზე; რისთვისაც აუცილებელია:

1. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ბაკალავრიატის დონეზე საზღვაო ტრანსპორტის დარგში სწავლების სხვადასხვა პროგრამებში სტუდენტთა ჩართვის გზით;
2. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი პროგრამებით, რომლებიც ხელს შეუწყობს სტუდენტების მიერ არჩეული



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება

*Regulation for the Marine Engineering Faculty*

პროფესიისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენას უმაღლესი განათლების I საფეხურის - ბაკალავრიატის დონეზე;

3. საგანმანათლებლო პროგრამებისა და საგანმანათლებლო პროცესის შესაბამისობის უზრუნველყოფა როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის - IMO-ს მოთხოვნებთან.

5.1.2 ფაკულტეტის საქმიანობაში ასახულია ის ძირითადი მიმართულებები, რომლებიც აღწერილია სასწავლებლის "მისია"-სა და "საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)"-ში.


1. სასწავლებლის მისია შემუშავებული ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ და დამტკიცებულია სასწავლებლის რექტორის მიერ. მისიის განახლება ხორციელდება ყოველწლიურად.
2. საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობას (კატალოგს) შეიმუშავებს ფაკულტეტის დეკანი, ამტკიცებს რექტორი. კატალოგის გადახედვა ხდება ყოველწლიურად, საჭიროებისამებრ მოხდება მისი განახლება / ცვლილების შეტანა.

**5.2 მიზნების განსახორციელებლად საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი:**

1. სათანადო სასწავლო დისციპლინებში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო კურსებისა და მოდულების მომზადებასა და განხორციელებას სწავლების ყველა საფეხურისათვის;
2. სამუშაოდ იწვევს მაღალკვალიფიცირებულ აკადემიურ და პედაგოგიურ პერსონალს;
3. უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს სათანადო რესურსებით, სასწავლო აღჭურვილობით, ლაბორატორიებითა და ლიტერატურით;
4. მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისთვის გამოიყენებს თანამედროვე ტრენაჟერულ ტექნოლოგიებს;
5. უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ფაკულტეტის მართვაში, საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების სრულყოფაში, სასწავლო და სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში;
6. ახდენს თანამედროვე დონის მართვის საინფორმაციო სისტემების კონცეფტუალიზაციას და დანერგვას;
7. კავშირს ამყარებს საქართველოსა და სხვა უცხო ქვეყნების წამყვან აკადემიურ ცენტრებთან, როგორც ერთჯერადი პროექტების, ისე გრძელვადიანი სასწავლო პროგრამების განსახორციელებლად;
8. ატარებს ღონისძიებებს ფაკულტეტის მუშაობისა და მიღწევების საზოგადოებისთვის გასაცნობად მისი გასაჯაროების მიზნით.
9. სისტემატიურად ატარებს:
  - სამეცნიერო კონფერენციებს, სემინარებს, საჯარო ლექციებს, სხვადასხვა საჯარო ღონისძიებებს, სადაც დაინტერესებულ საზოგადოებას აცნობს მუშაობის შედეგებს;
  - მიზნობრივ გამოკითხვებს სწავლების მეთოდების, სასწავლო პროცესის ხარისხისა და კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის დონის შესაფასებლად სტუდენტებსა და დამსაქმებლებში;
  - სისტემატიურად ატარებს აკადემიური პერსონალის და მოწვეული მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ღონისძიებებს;
  - სტუდენტთა სრულფასოვანი პრაქტიკით უზრუნველყოფის მიზნით კავშირს ამყარებს საზღვაო კრუინგულ კომპანიებთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებლებთან

**5.3 მისიის განხორციელების მექანიზმები**

სასწავლებელი თავის მისიას განახორციელებს:



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება

*Regulation for the Marine Engineering Faculty*


1. საგანმანათლებლო პროგრამებით, რომელიც ეფუძნება ეროვნულ ცნობიერებას, აგებულია ლიბერალური პრინციპების გათვალისწინებით და ორიენტირებულია ცოდნაზე დაფუძნებული შრომის ბაზრის მოთხოვნებზე;
2. ხარისხის მართვის ერთიანი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი განათლების მიცემას;
3. სასწავლებლის საკუთრებაში არსებული სასწავლო გემით, რომელიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის ხარისხის ამაღლებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე;
4. ადამიანური რესურსით, რომლის პროფესიული განვითარებისათვის სასწავლებელი განახორციელებს პროფესიული განვითარების პროგრამებს;
5. სასწავლო რესურსით, რომელიც ემსახურება არამარტო სწავლების, არამედ სწავლისა და კვლევების პროცესს;
6. ინოვაციების დანერგვა და განვითარება;
7. სტუდენტთა აკადემიური და სოციალური მხარდაჭერის პროგრამებით, კულტურული, სპორტული და გასართობი პროექტებით;
8. სტუდენტთა აქტივობის სტიმულირებით საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების შემუშავებასა და ხარისხის მართვის პროცესში მონაწილეობისათვის;
9. საზოგადოებრივი სერვისის პროგრამებით, რომლებიც ორიენტირებულია მოსახლეობის სოციალურ და ინტელექტუალურ მხარდაჭერაზე;
10. დამსაქმებელთა კორპუსთან აქტიური თანამშრომლობით, მისი მოთხოვნების შესწავლით და პრაქტიკული რეალიზაციით;
11. მართვის მოქნილი სისტემით, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლებლის ყველა სტრუქტურული ერთეულის კოორდინირებულ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

**6. ფაკულტეტის პერსონალი და სტრუქტურა**

ფაკულტეტის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის მართვის ორგანოები: რექტორი, პრორექტორი, საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი - იგივე სასწავლო განყოფილების უფროსი, სამი პროგრამული მიმართულება, სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის სპეციალისტი, ხმს სპეციალისტი, საქმისმწარმოებელი. საჭიროებისამებრ ინიშნება სხვა დამხმარე პერსონალი.

**6.1 ფაკულტეტის სტუდენტი:**

1. საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება უმაღლესი განათლების I საფეხურზე - ბაკალავრიატის დონეზე;
2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე საქართველოს მოქალაქის ჩარიცხვა ხორციელდება გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარებული ერთიანი ეროვნული გამოცდების მიერ სრული საშუალო განათლების საფუძველზე; სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კონკურსის საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდის განაცხადის ფორმაში.
3. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის უფლების მოსაპოვებლად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს 4 გამოცდა ქვემოთ მოყვანილი პრიორიტეტული რიგითა და რანჟირების კოეფიციენტებით:
  - 1) ზოგადი უნარები - 7; 2) მათემატიკა/გეოგრაფია/ისტორია - 2; 3) უცხო ენა - 2;
  - 4) ქართული ენა და ლიტერატურა - 1
4. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტები შეიძლება ჩარიცხონ მობილობის წესით;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება


*Regulation for the Marine Engineering Faculty*

5. სტუდენტის უფლება-მოვალეობები, სემესტრული რეგისტრაცია და დაშვება საგანმანათლებლო პროცესზე, აკადემიური მიღწევების შეფასება, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა და დღიური განრიგი განსაზღვრულია სასწავლებლის შინაგანაწესით და პროცედურით ნდ 2-0201-21;
6. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების ჩარიცხვა ხორციელდება მთავრობათაშორისი ხელშეკრულებებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად;
7. სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების (ცვლილებებისა და დამატებების გათვალისწინებით) და სასწავლებლის მიერ შემუშავებული შესაბამისი დებულების ნდ 2-0401-10 საფუძველზე.
8. სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტებისათვის დაწესებულია შემდეგი დამატებითი პირობები:
  - აბიტურიენტები, რომელთაც სურვილი აქვთ ჩარიცხონ ჩვენს სასწავლებელში, ვალდებული არიან საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის უფლების მოსაპოვებლად გაიარონ სპეციალური სამედიცინო შემოწმება (ფორმა № IV-100a) საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სათანადო აღიარების მქონე სამედიცინო ცენტრებში. სამედიცინო შემოწმების აუცილებლობა გამოწვეულია საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სპეციფიურობით და გათვალისწინებულია, როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტებით;
  - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 11 ივლისის ბრძანება N 215/ნ;
  - International Convention on Standards of Training, Certification and Watch keeping for Seafarers., as amended Regulation I/9; section B-I/9; Table B-I/9-1.

**6.2 ფაკულტეტის პერსონალი**

1. ფაკულტეტის პერსონალს მიეკუთვნება: აკადემიური, ადმინისტრაციული, პედაგოგიური და დამხმარე პერსონალი;
2. ფაკულტეტი ექვემდებარება რექტორს;
3. ფაკულტეტს ხელმძღვანელობს რექტორი. რექტორის უფლებამოსილება გაწერილია შპს ბუსსს ანრის შინაგანაწესში.
4. ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა შპს ბუსსს ანრის სენატი, რომლის შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრები, განყოფილების უფროსები, ხარისხის სამსახურის თანამშრომელი და სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. შპს ბუსსს ანრის სენატის უფლებამოსილება განსაზღვრულია ნდ 2-010109-ში.
5. ფაკულტეტის პერსონალს მიეკუთვნება საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ფაკულტეტის საქმიანობისთვის აუცილებელი პირები:
  - 1) პრორექტორი ფ/მ 2-010201-02
  - 2) საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი ფ/მ 2-010201-03
  - 3) საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის საქმისმწარმოებელი ფ/მ 2-010201-09
  - 4) საზღვაო ნავიგაციის მიმართულების ხელმძღვანელი ფ/მ 2-010201-61
  - 5) გემთმექანიკური მიმართულების ხელმძღვანელი ფ/მ 2-010201-62
  - 6) ზოგად საგანმანათლებლო და ზოგადტექნიკურ დისციპლინათა მიმართულების ხელმძღვანელი ფ/მ 2-010201-63
6. ფაკულტეტის პერსონალს ნიშნავს და ათავისუფლებს გენერალური დირექტორი.





შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება


*Regulation for the Marine Engineering Faculty*

7. პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქცია გაწერილია ზემოაღნიშნულ ფუნქციონალურ მოვალეობებში (ფ/მ).

**6.3 აკადემიური პერსონალი და მოწვეული პედაგოგები**

**6.3.1 ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შედგება პროფესორებისაგან**

- 1) პროფესორების შემადგენლობას მიეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და ასისტენტ-პროფესორი;
- 2) აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:
  - მონაწილეობა მიიღოს შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის მართვაში წესდების შესაბამისად;
  - ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;
  - საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;
  - ხუთ წელიწადში ერთხელ კვალიფიკაციის ასამაღლებლად აიღოს ანაზღაურებადი სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულება არა უმეტეს ერთი სასწავლო წლის ვადით;
  - განახორციელოს აკადემიის წესდებით და საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.
- 3) აკადემიური პერსონალი ვალდებულია:
  - დაიცვას წესდების მოთხოვნები;
  - შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები;
  - კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ წარმოადგინოს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ;
  - გაიაროს ატესტაცია
- 4) აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლებია:
  - პირადი განცხადება;
  - აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული მომდევნო ღია კონკურსში არ მონაწილეობა;
  - ატესტაციის ვერ გავლა;
  - დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;
  - შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;
  - პენსიაზე გასვლა ან ემერიტუსის წოდების მინიჭება;
  - კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევები.
- 5) სასწავლებელი მოიწვევს საჭირო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებს, სპეციალისტებს/ოსტატებს სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით;
- 6) „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უმაღლესი სასწავლო დაწესებულების მასწავლებელი უფლებამოსილია გაუძღვეს სასემინარო, პრაქტიკულსა და ლაბორატორიულ სამუშაოებს აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე;
- 7) მასწავლებელი და ოსტატ-მასწავლებელი უშუალო დაქვემდებარებაშია ფაკულტეტის დეკანთან.
- 8) მასწავლებელი, ოსტატ-მასწავლებელი ვალდებულია:
  - ჩაატაროს კონსულტაციები, საკონტროლო სამუშაოები, პრაქტიკული, სემინარული და ლაბორატორიული სამუშაოები, შუალედური გამოცდა;



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ზათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება

*Regulation for the Marine Engineering Faculty*


- შეიმუშაოს საკონტროლო ამოცანები, საკითხების ჩამონათვალი და ლაბორატორიული სამუშაოები ცალკეული თემების მიხედვით;
- თავის საქმიანობაში დაიცვას სასწავლებლის პოლიტიკა და მიზნები ხარისხის დარგში;
- დადგენილი წესის ან პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელის მოთხოვნის შესაბამისად განახორციელოს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებათა დანერგვა;

**7. შემოწმება და კონტროლი**

- 1) წინამდებარე დებულების მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს ფაკულტეტის დეკანი.
- 2) დებულების შემოწმება ხორციელდება შიდა და გარე აუდიტორების მიერ შემოწმებების დროს.

**8. კონფიდენციალურობა**

არსებული პროცედურა წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება  
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დებულება  
*Regulation for the Marine Engineering Faculty*

9. დებულების პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

| № | პერიოდული შემოწმების თარიღი | შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები | ხელმოწერა | შესწორებას ექვემდებარება პუნქტები |
|---|-----------------------------|--------------------------------------------------------|-----------|-----------------------------------|
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |
|   |                             |                                                        |           |                                   |